FSSO № 7067

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის დღე!

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1990 წლის 26 მაისი, №62 (10299)

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ.

უნდა შევკავშირდეთ

72 წელი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის ღღიდან. ისტორიის ქარტეხილმა რა რიგად არ შეატრიალა ცხოვრების ჩარხი, მაგრამ ეს თარიღი ცოცხლად დარჩა ქართველი ხალხის მეხსიერებაში. 70 წლიანი დუმილის შემდეგ, წელს, მეორედ აღინიშნება ეს თარიღი როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის დღე. დღევანდელმა თაობამ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, უნდა იცოდეს საკუთარი ქვეყნის ისტორია, უნდა იცოდეს, რომ ჩვენმა საუკუნოვანმა წინაპრებმა ბრძოლით მოიპოვეს სანუკვარი თავისუფლება და ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ პატივი მივაგოთ იმათ, ვინც თავისუფლება მიგვანიჭა მშობლიურ საქართველოს, მის ერს.

სწორედ ამ სულისკვეთებით აღინიშნება მიმდინარე წლის 26 მაისი. და როცა ამ თარიღის ირგვლივ გაიმართება საუბარი საწარმო-დაწესებულებების, საზოგადოებრივი მეურნეობების შრომით კოლექტივებში, ძირითადი აქცენტი უნდა გადავიტანოთ იმაზე თუ როგორ და რა გზით, რა ეტაპების გავლით უნდა მივაღწიოთ საქართველოს სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, როგორ უნდა შეკავშირდნენ რესპუბლიკის ჯანსაღი ძალები და ყველამ აკეთოს ის, რაც მას ხელეწიფება და ეკალება.

ეროვნული დღესასწაული

ქართული სახელმწიფო თავისი ასაკით ერთ-ერთი უძველესია დღეისათვის მსოფლიოში არსებულ ეროვნულ სახელმწიფოთა შორის. ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-12 საუკუნეში ჩამოყალიბდა კოლხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ყველა აუცილებელი ატრიბუტით. ძვ. წ. მე-4-მე-3 სს. ჭიჭნაზე საფუძველი ჩაეყარა იბერიის (აღმოსავლეთ საქართველო) სამეფოს. ამ დროიდან მოკიდებული ქართულმა სახელმწიფოებრიობამ აგრესორთა გამუდმებული ბატალიების ცეცხლში სისხლითა და ოფლით გაჯერებულმა მე-18 ს. ბოლომდე მიიდწია. ამ გრძელ გზაზე მას გარეშე თუ შინაგან ძალთა ზემოქმედებით დაშლა-დაქუცმაცების სენიც შეჰყრია და ერთიანობისა და სიმტკიცის მწვერვალზედაც შემდგარა, სხვა უბედურებებთან ერთად რამდენიმეჯერ სუვერენიტეტის მოსპობაც განუცდია. ირანისა თუ არაბეთის, ბიზანტიისა და თურქეთის ძალადობის გამოისობით, მაგრამ შედარებით მოკლე დროში ქართველი ხალხი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების აღდგენას ამა თუ იმ ფორმით მაინც ახერხებდა. მაგრამ 1801 წ. რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობისა და მის კვალდაკვალ დანარჩენი სამეფო-სამთავროების გაუქმების შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების დაუოკებელი ბრძოლისა, ქართული სახელმწიფოს აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შედეგად რუსეთის იმპერიაში შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში. 1918 წ. 26 მაისს საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 26 მაისი მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული არ არის. ამ თარიღს უკავშირდება, აგრეთვე, პირველ დ საქართველოს ისტორიაში მმართველობის დემოკრატიული, პარლამენტური სისტემის ჩამოყალიბება—საქართველომ მე-19 ს. დასაწყისში დაკარგა დამოუკიდებლობა როგორც ფეოდალურმა ქვეყანამ, ხოლო აღსდგა როგორც რესპუბლიკური სახელმწიფო.

ქართველმა ხალხმა 26 მაისის დღესასწაული თავისუფლების პირობებში მხოლოდ სამგზის იზეიმა, მართალია, დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ეს როდი აკნინებს მის ისტორიულ მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებაში. პირველად ასჩვიდმეტწლოვანი პოლიტიკური მოწობის შემდეგ ეღირსა ქართველობა სანუკვარ თავისუფლებას, ეროვნული დროშის ქვეშ გაერთიანებას მსოფლიოს ხალხთა შორის კუთვნილი ადგილის დაკავებას, ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ 26 მაისი ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. შემთხვევითი როდია, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ თავის მონუმენტურ წაწარმოებს „დავით აღმაშენებელს“—ქართული ეროვნული სულის აღმავლობის ამ სწორუპოვარ ანოლოგიას განსრულების თარიღად 26 მაისი დაუსვა...

საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ მეთოდურად გააყალბა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია. ბოლო პერიოდში თანდათანობით შესაძლებელი ხდება ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენა, ყალბი სტერეოტიპებისაგან აზროვნების განთავისუფლება, მიკერძოებული კონცეფციების დაძლევა... მაგრამ პროფესიონალ ისტორიკოსებს, რომლებიც ობიექტურ სიმართლეს ემსახურებიან და არა ცვალებად კონიუქტურას, კვლავაც მოუწევთ რთული და დაძაბული მუშაობა, რომ ჩვენმა ხალხმა მთელი სიგრძე-სიგანით შეიმეცნოს ხანმოკლე თავისუფლებისდროინდელი საქართველოს რეალური ისტორია. ამას არა მარტო შემეცნებითი, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რამეთუ იმ დროის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოცდილება გაკვეთილებად გამოადგება დღეს მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

26 მაისი მაინც წარსულის აწდაკარგული თავისუფლების დღესასწაულია, მაგრამ მასში მომავლის დღესასწაულის კონტურებიც ილანდება.

გიორგი არაბიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.

ძვირფასო მკითხველო!

დღეიდან ჩვენი გაზეთის სახელწოდებაა „ოდიში“. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი თანაგრძნობით, სამომავლოდ, გაზეთი თვიზოგრივად განახლდება!

ზუგ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთეკა

„დ ი დ ე ბ ა“

ქართული ეროვნული ჰიმნი

ჰუსია და ტექსტი კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილისა

„დიდება ზეცით კერუბიელს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა იერს.
დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ ხალხ ერს.
დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენის სიცოცხლის
ჰიბანს დიადსა.
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა“.

„საქართველო“, 1918 წ. 2 თებერვალ (ივნისი). № 107.

„დიდება“ პირველად შესრულდა 1918 წლის 9 აპრილს—მეორე კადეტების „დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად“ გამოცხადების დღეს.

ამ ჰიმნით მიეგება ქართველი ერი საქართველოს განთავისუფლებას 1918 წლის 25 მაისს...

ერთი თვის შემდეგ, 26 ივნისს, საქართველოს მთავრობამ „დიდება“ ქართველ ეროვნულ ჰიმნად სცნო, როდესაც იგი მთავრობის ბრძანებით შესრულებულ იქნა შვიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე.

საქართველოში მყოფმა ევროპელმა, კერძოდ გერმანელებმა და ინგლისელებმა ეს ჰიმნი თავიანთ ქვეყნებში გადაგზავნეს.

1919 წელს კომპოზიტორთა საგანგებო კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თვით ჰიმნის ავტორი, ქართული ეროვნული ჰიმნი „დიდება“ საბოლოოდ დაამუშავა, ახალი ინსტრუმენტრები გაუკეთა და ამ სახით ხუთასი მომღერალისა და სამასი დამკვრელის ანსამბლით შესრულა 26 მაისს კ. ფოცხვერაშვილის დირიჟორობით, დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის დადგენილებით.

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თავის ნაზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ახპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეესებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

(საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან)

არასდროს დაიღლებიან ლუმთავორაზე მავალნი

საქართველოს ხალხმწიფო დამოუკიდებლობას, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა, მავანნი და მავანნი მხოლოდ ბრჭყალებში ირონიით თუ მოიხსენიებდნენ და არც ხმეებს და არც საკუთარ პერსონას ამ უაღრესად სერიოზული საგნის ირგვლივ კრინტის დაძვრის საშუალებას არ აძლევდნენ.

დღეს ვისთვისღაა ხალიდუმლო, ვინ მალავს, როგორც უკანასკნელ ათეულ წლების მანძილზე, რომ **რომანოვების რუსეთის იმპერია ხალხთა ხალხროგილე და ევროპის ჟანდარმი** იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არავითარი აზრი არ ექნებოდა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც სენატის მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლიდან მოკიდებული, თითქმის მთელ საუკუნეს არყევდა გაფთრებული კლასთა ბრძოლებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სენით შეპყრობილ მის მძლავრ სხეულს.

რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს მანიფესტმა, რომელიც 1902 წლის 26 აპრილს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში წაიკითხეს და ქართველ საზოგადოებას სახელმწიფოს უზენაესი ნება აუწყეს, ზღვარი დაუდო საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ათასწლეულ უთანასწორო ოცდაბში გამოვლილი გმირული ქვეყანა იმპერიის განაპირა „ეუზედ ფორპოსტად, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დახურდავდა. გაუქმდა ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო ტახტი, შეფის ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი პეტერბურგს გაიწვიეს, მოიშალა ქვეყნის მმართველობის ეროვნული ინსტიტუტები.

მაგრამ ფაქტია, რომ მონარქიული რუსეთის წიაღში საქართველო გაღარჩა, მოსულიერდა, ევროპულ კულტურას ეზიარა, ახალი ძალებით აღივსო და არამცთუ არსებობა შეინარჩუნა, მ[illegible] შენელოვანი როლიც შეასრულა თვით რუსეთის ისტორიაში.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, იმას, რომ რუსეთის გამგებლობაში მყოფ ქართველობას, ქრონიკული გულმავიწყობა დასჩემდა, თითქოს ის ერთხელ და სამუდამოდ შეურიგდა აზრს, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვება და შენარჩუნება მისი საქმე არ არის, თითქოს ის განგებამ სხვისი ხელის შემყურე ქვეშევრდომის უნუგეშო ბედისათვის გაიმეტა. თუ თვალს დავხუჭავთ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ ქართველი ერის ბერმანენტული მიდრეკილების წინაშე, მაშინ აზრმოკლებულად და რეაქციულად უნდა გამოვაცხადოთ თუნდაც გასული საუკუნის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებული დიდი ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიზანი ერთია—ამა თუ იმ ერის ეროვნული თვითგამორკვევის მოპოვება. ასე მივედით 1917 **წლამდე**, როდესაც თებერვლის ბურჟუაზიულ დემოკრატიულმა რევოლუციამ ბოლო მოუღო დამონებული ხალხების, თვით რუსი ხალხის საძულველ ცარიზმს, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში რუსეთში, დედაქალაქში, [illegible] ბოლშევიკურ-ბოლშევიკურ-ბოლშევიკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევაც დაიზრდებიან ლომების მთამომავალნი!

ერის სინდისი

მერვე თვეა „მთაწმინდა გულში იხუტებს“ საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას საფლავს. ფრიად სიმბოლურია ის, რომ საქართველოს მოჭირნახულე უკეთეს მამულიშვილთა შორის უპირველესი ერისკაცი მერაბ კოსტავა სწორედ 26 მაისს დაიბადა...

და თუ 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მარადგაუხუნარ თარიღს ალვნიშნავთ, დაე, მასში განივთდეს ერის თავისუფლებისათვის გოლგოთის გზა განვლილი მერაბ კოსტავას დაბადების დღის უფლისმიერი არდავიწყება.

ალმერთებდე საქართველოს

დაიხსომე ქართველმა:
დაემართა რაც ანთეოსს,
შენც ის დაგემართება,
თუ მოსწყდები საქართველოს.
როგორც მერაბ კოსტავას,
თუ მამულზე ჯავრი გზრდიდა,
არ გემძიმოს ოდნავაც
უმძიმესი ჯვარის ზიდვა.
ძვირად რეკდე გლოვის ზარს,
რადგან მავანს უხარია
და ზეიმობს, როდესაც
საქართველო მწუხარეა.
გაგეკაფოს გზა მრწამსით,
სანამ გაიტანდე ლელოს,
მერაბ კოსტავასავით
მხრებში გამართული გევლოს.
მისი ხატი ყელმალალ
ბალღებს მკერზე ჩამოჰკიდე,—
სულში ვისაც ესახლა
ჯვარცმით გატანჯული ქრისტე.
სხვისას არ შენატროდე
არც დიდებას, არც პანთეონს,
ქართულად ეპატრონე
დროშებდახრილ საქართველოს.
რაც თქვი, ალარ გადათქვა,
ტყავი განიახლე ვეფხვის,
სხვას არ ანდო გარდაქმნა
„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნის,
ეგალობოთ „ოსანა“,
გამარჯვებით სადაც გევლოს,
როგორც მერაბ კოსტავა —
ალმერთებდე საქართველოს!

ოთარ ბელიძე.

ისინი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ

1929 წელს ენგურის ქაღალდკომბინატის მშენებლობაზე ჩამოსული ახალგაზრდობისათვის მთავარი პრობლემა გახდა საცხოვრებელი ბინის საკითხი, სანამ პაპისეულ სახლს გადმოვიტანდი აქეთ, ბინად მოვხვდი ნიკო თოდუას ოჯახში. მიმიღეს ძალიან თბილად, გულკეთილად. ბევრი სიკეთე ვისწავლე ამ ოჯახში, რაც შემდგომ ცხოვრებაში გამომადგა. ნიკოს ხშირად აინტერესებდა ჩემთან საუბარი, საიდან ვიყავი, ვისი დახმარებით მოვხვდი მშენებლობაზე და სხვა. მეც ვპასუხობდი, რომ კომკავშირული საგზურით ვიყავი, ამით ვამაყობდი კიდეც. კომკავშირის ხსენებაზე ბატონმა ნიკომ ჩაიცინა, მაგრამ ხმამაღლა კი შემაქო.

ნიკოს სახლში მრავალი საინტერესო ლიტერატურა ინახებოდა. თავად კბილის ექიმი იყო, მთელ სამეგრელოს რეგიონში ერთადერთი ექიმი და დადიოდა ყველგან, ოღონდ მეთვალყურეობის ქვეშ იყო, როგორც სოციალ-დემოკრატი, საშიში პოლიტიკოსი.

ერთხელ ნიკომ მომისწრო, როცა მის წიგნს „სოციალ-დემოკრატს“ ვკითხულობდი, სადაც ნოე ჟორდანიას სურათიც იყო. „შენ კომკავშირელი ხარ, ეს წიგნი არ გჭირდება“— მითხრა მან. მაშინ მივხვდი, თუ რატომ გაიღიმა ნიკომ ჩემს კომკავშირელობაზე.

ნიკო თოდუა სრულიად ახალგაზრდა ჩაება დამპყრობელთა წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებებში. მისთვის სახლ-კარიც გადაუწვავთ, მაგრამ ბრძოლით ანთებული ყმაწვილი ერთგულად განაგრძობდა დაწყებულ საქმეს. მას თავისი ცხოვრების ნახევარი ციმბირში გაუტარებია. სახელოვანი ბიძის კვალში ჩადგა ახალგაზრდა მიხაც, ნიკოს ძმისშვილი. 1918 წელს გამარჯვება იზეიმეს თოდუების ოჯახმა მთელ საქართველოსთან ერთად.

1921 წელს საქართველოში კომპარტიის შექმნის შემდეგ ალიხანოვის დამსჯელი რაზმი შეცვალა ჩეკამ. ისინი უფრო ხშირი სტუმრები გახდნენ ნიკოს ოჯახში, ვიდრე ალიხანოვის რაზმელები. ნიკოს არ შეეძლო ნათესავებთან მისვლაც, ჩეკას ნებართვის გარეშე.

ნიკოს მიმართ რეპრესიები გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მან კოლექტივში შესვლაზე უარი განაცხადა. მისა შორეულ ციმბირში გადაასახლეს ბიძასთან ერთად. 1937 წელს იქ დაიღუპა ორივე.

ნიკო და მისა თოდუებმა დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლას შესწირეს თავი.

მათ გადაუწვეს სახლ-კარი, აწამეს ჯერ რუსის მეფის ჯალათებმა, შემდეგ კომუნისტებმა, ბოლოს ციმბირში სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ მათი სახელი უკვდავი დარჩა. მათ საქმეს დღეს აგრძელებს ახალგაზრდობა. ნაფუძარზე ახალი სახლი აიგო. მათ სახელოვან სიცოცხლეს აგრძელებენ შვილები და შვილიშვილები, შვილთაშვილები —გრიშა, ცუცა, ვაჟა, ლუდუკი; გიგლა თოდუები.

ვლადიმერ შონია.

ამ წლების თეატრალური ცხოვრება

ამ რთულ პოლიტიკურ ატმოსფეროსა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში, რომელშიაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას უხდებოდა საქმიანობა, ალბათ ძალზე რთული იყო თეატრის აღორძინებისათვის საჭირო რეფორმების გატარება.

მიუხედავად ამისა, თუ თბილისელ მაყურებელს მაინც შეეძლო დროგამოშვებით ენახა ქართული სპექტაკლები, მხოლოდ თეატრის თავდადებულ მსახურთა დიდი მონდომებისა და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით. და ქართულ თეატრს, ბუნებრივია, თავისი სისხლსავსე შემოქმედებითი საქმიანობა არ შეუწყვეტია. საქართველოს პროვინციებში, მათ შორის ზუგდიდშიც ხშირად იდგმებოდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლები, რომლებსაც უამრავი მაყურებელი ესწრებოდა. ამასთან ცნობილი ქართველი მსახიობები ადგენდნენ მოგზაურ დასებს, დგამდნენ ისტორიულ თემაზე შექმნილ პიესებს და საგასტროლოდ მიემგზავრებოდნენ საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში.

1920 წელს ზუგდიდს ეწვია მოგზაური დასი შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. დასის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი ქართველი მსახიობები: ნუცა ჩხეიძე, ელო ანდრონიკაშვილი, მიხეილ გელოვანი, პავლე ფრანგიშვილი, ვიქტორ მატარაძე, სოსო ჟივიძე, ნიკო ჩაგუნავა, ზაქრო ურუშაძე და სხვები. წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი“. სპექტაკლის დაწყებამდე პიესისა და სპექტაკლის ავტორი და მთავარი მოქმედი პირი შ. დადიანი მიესალმა ხალხმრავალ აუდიტორიას, რომლებსაც მიულოცა ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაყურებელმა კი თავის მხრივ, ოვაციები გაუმართა როგორც თავის კუთხის სახელოვან შვილს, ისე სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს.

„დასს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ,— აღნიშნავს პრესა, —ზუგდიდში დასმა დაათვალიერა ძველთაგან ძველი ისტორიული ციხე „ჭაქვინჯი“ („ჭიხა“), სადაც გადაღებულ იქნა სურათი ადგილობრივ გლეხებთან შიგ ციხეში. დასმა გადაიღო სურათი პიესა „გეგეჭკორიდან“ სასახლის წინ ზუგდიდში... ციხის დათვალიერებაში დასს დიდი თანაგრძნობა გაუწია ზუგდიდის ერობის თავმჯდომარემ ლეო ქიაჩელმა; ციხის დათვალიერების დროს დასი ცხენებით მოგზაურობდა“.

შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი, ამავე წლის ზაფხულში, დროებით სამუშაოდ მოწვეულ იქნენ ზუგდიდში. ამ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა იმჟამინდელი ქართული პრესა. „შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი ერთი თვით ზუგდიდს გაიწვიეს, —იუწყება ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, — სადაც რამოდენიმე წარმოდგენას გამართავენ“.

შალვა დადიანი ჩვეული მონდომებით ჩაუდგა სცენისმოყვარეთა დასს სათავეში და დაიწყო სპექტაკლების რეგულარული ჩვენება ქალაქში. „ზუგდიდში [illegible] ერი და [illegible] ემდეგ დიდი ხანი არ არის გასული,— აღნიშნავს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების“ ზუგდიდელი კორესპონდენტი, —რაც თეატრი სრულიად არ არსებობდა. შემდეგ, წელიწადში თითო-ოროლა წარმოდგენის ნახვა იშვიათ მოვლენად მიგვაჩნდა. დღეს კი, როგორც ყველა ჩვენი პროვინციის თვალსაჩინო დაბა-ქალაქებში, ზუგდიდშიაც სათეატრო საქმე მტკიცედ იკიდებს ფეხს და ფესვებს იდგამს. არსებობს მოყვარულთა დრამატული წრე, რომელმაც ამ უკანასკნელ თვეში ხელმძღვანელად მოიწვია შ. დადიანი, რომლის რეჟისორობით უკვე სისტემატიურად იდგმება ქართული წარმოდგენები“.

შალვა დადიანის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ამ მცირე სათეატრო სეზონმა, ეჭვსგარეშეა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველი თეატრალური ხელოვნების განვითარებას ჩვენს ქალაქში, რაც, თავის მხრივ, გახდა საფუძველი, ქართული პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებისა, ზუგდიდში.

1920-1921 წლების თეატრალური სეზონისათვის ქართული თეატრის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა სანიმუშო სეზონის ჩატარება თბილისში და ამ მიზნით თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ძალებს აქ მოუყარა თავი, მაგრამ, ცნობილი მიზეზით, 1921 წლის 25 თებერვალს სეზონი შეწყვეტილ იქნა.

ჯემალ როგავა,
კულტურის საქალაქო განყოფილების გამგე.

* * *

...ჩემი ერი ამაყია
და ის მონა არ გახდება,
თუ აქამდე არ მომკვდარა
მომავალშიც არ მოკვდება.
მწამს, მსოფლიო ასპარეზზე
ის გაიტანს ზღაპრულ
ლელოს
და კვლავ ვნახავ მკვდრეთით
აღმდგარ
გამარჯვებულ საქართველოს.

ხაფო მგელაძე
1917 წელი.

9 აპრილს დაღუპულთა მე-40 დღის აღსანიშნავად ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში გამოვფინეთ სურათებთან და სანთლებთან ერთად შავარშია-

განუმეორებელი მასიური გაფიცვისა, სადაც ძირითადი მოთხოვნა იყო „თავისუფლება პოლიტპატიმრებს — ზ. გამსახურდიას,

მაისიდან მაისამდე

შემოვლებული ეროვნული დროშები. ამან ზოგიერთ ადამიანში გაკვირვება გამოიწვია, მოვიდნენ მილიციის წარმომადგენლებიც, ერთ-ერთმა მათგანმა გმირ წინაპართა სისხლით შეღებილ სამფეროვან დროშას მენშევიკური უწოდა, ხოლო ჩვენ ექსტრემისტები და უსაქმურები. დაგვიძახეს, ჩამოგვეხსნა დროშა. ყველანი დროშის წინ გავმწკრივდით და დავცხეთ: „სა-ქა-რთვე-ლო! სა-ქა-რთვე-ლო!!!“ შეგროვდა დიდძალი ხალხი, მალე შემოგვიერთდნენ არაფორმალურ გაერთიანებათა სხვა წარმომადგენლებიც. ჩატარდა მოკლე მიტინგი, გავეცანით 19 მაისს დაგეგმილი აქციის პროგრამას.

სწორედ ეს დღე გახდა გენერალური რეპეტიცია 19 მაისს ზუგდიდში ჩატარებული პირველი

მ. კოსტავას, ი. წერეთელს, გ. ჭანტურიას“.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, ვინც ექსტრემისტებს გვეძახდა, ისინიც სხვაგვარად ალაპარაკდნენ, ახლა ყველაზე თავგამოდებული კონსერვატორებიც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“— ხშირად იმეორებენ.

ეს უდიდესი წინსვლაა ეროვნული მოძრაობისა. ღმერთმა ნუ ქნას მდგომარეობა შეტრიალდეს და ძველმა მოწინააღმდეგეებმა ისევ დაგვიძახონ ექსტრემისტები და ისევ მონათლონ ეროვნული დროშა მენშევიკურად.

ყოველი ერისკაცის ვალია, არ დაუშვას ეროვნული მოძრაობის წაბორძიკება, რადგან მტერი მხოლოდ დროს უცდის.

ზ. ალშიბაიძე.

სასამართლო დარბაზიდან

ქვენაგრძნობამ გადასძალა

ზესტაფონის რაიონის სოფელ საღვინეს მკვიდრი გიორგი ბარამის ძე მშვენიერაძე, როგორც მსჯავრდადებული, მიმაგრებული იყო ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სპეცკომენდატურაში და მუშაობდა ფიზიკურად №12 ტრესტის №3 სამშენებლო სამმართველოში.

გ. მშვენიერაძე სასჯელის მოხდას ამთავრებდა მიმდინარე წლის 15 მაისს, მაგრამ...

მის არსებაში ქვენაგრძნობა უფრო მყარი აღმოჩნდა, ვიდრე პიროვნული თავისუფლების წყურვილი. აბა, სხვანაირად როგორ უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კაცი, რომელიც ორ თვეში დაიღწეოდა თავს ციხის გისოსებს, კვლავ ამ დაწესებულების ბინადარი გახდა საკმაოდ ხანგრძლივი დროით. ამჯერად რისთვის? მოქალაქის პირადი ქონების გატაცებისათვის. კერძოდ, მან 14 მარტს, დღისით-მზისით, ქ. ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მოქალაქეს ხელიდან გამოსტაცა ჩანთა, რომელშიც იდო 440 მანეთი და სხვა ნივთები. მშვენიერაძემ ვერ მოასწრო მიმალვა, იგი დაკავებულ იქნა მოქალაქეებისა და მილიციის მუშაკების მიერ ნივთმტკიცებითურთ.

ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლომ დ. შეროზიას თავმჯდომარეობით განიხილა აღნიშნული საქმე და გიორგი ბარამის ძე მშვენიერაძეს შეუფარდა სამი წლითა და ორი თვით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ცოტათი დამემსგავსენ

(ჩანახატი)

ახალდაბადებული ფოთლებით, ჯახუძლულ ტოტებს მიწამდე დაუხრიათ თავი. ეტყობა ნამის წვეთები ხვავრიელად დაშვებულა ციდან, ჩიტები გალობენ და ლალით დატვირთული პაწია ფუტკრები ეზოში მობიბინე სამყურას ყვავილებთან ბზუილით ფერხულს უვლიან.. შუაგულ ეზოში დიდრონი, ძველებური მსხლის ხე აღმართულა, როგორც მფარველი და ჭირისუფალი, ძლიერი და მრავალნახული. ბუნების წიაღში მყოფი აღმოსავლეთისაკენ თვალმიპყრობილი ბებიაჩემი ხასოებით იწერდა პირჯვარს —პირველად თავის შვიდ შვილს შეავედრებდა იესო მაცხოვარს, თხუთმეტი შვილიშვილის ბედნიერებას შესთხოვდა მარიამ ღვთისმშობელს და ამ, მისთვის უპირველესი რიტუალის ჩატარების შემდეგ იწყებდა ფუსფუსს, მის გარშემო ბრუნავდა მთელი სამყარო, მის ზრუნვას, გარჯას და ალერსს ელოდნენ შვილები, შვილიშვილები, ეზო, ხილნარი, ბოსტანი, სამზადი, ძროხა თუ ფრინველი, ღობე თუ ბიშკარი, კერა თუ ბუხარი, კარდალა, ჭოთანი და თხილნარისა და ფორთოხლის ვარჯებში ბუმბულჩაგებული ბუდეები, შაშვისა თუ ჩიტბატონას ხარტყების აკვნები.

შრომაში, დარდსა და მწუხარებაში, სიხარულსა და მოფერებაში, ტირილებსა და ჭორწილებში მოტირალ-მოცინარი დაილია ჩემი ლამაზი, ცისფერთვალა, გულკეთილი ბებია.

დამამახსოვრდა ერთი, ბოლო ეპიზოდი— თაფლის სანთელი შე მომავლო, აანთო და გამანდო— შენ ყველას მირჩევნიხარ, რადგან ნაბოლარა ხარ, მეთხუთმეტე, გული მიგრძნობს, რომ ბედნიერი იქნები, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს: ცოტათი დამემსგავსე, გამრჯე იყავი, არ იზარმაცო და გაიმარჯვებ. მერე თავსაფრის ბოლოთი შეიმშრალა ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი და დაუმატა— ხანდახან სიზმარივით მოიგონე შენი ანთებულსანთლიანი ბებია.

ახლა ვიგონებ ჩემს კეთილ დიდედას, რომლის შეგონებითაც უნდა ვიცხოვრო, რათა პირნათელი და გამარჯვებული ვიყო.

ციცა თოლია.

იმარჯვეს მეხანძრეებმა

19 მაისს, შაბათს, დღის მეორე ნახევარში რუსთაველის ქუჩაზე მესამე საშუალო სკოლის წინ მდებარე მოქალაქე ნოდარ ფიფიას სახლს ხანძარი გაუჩნდა. ოჯახის წევრები თითქმის ყველანი სახლში იყვნენ. ბოსტანში საქმიანობდნენ და ცეცხლის გაჩენა არ შეუნიშნავთ. იგი ნახეს ამ ქუჩაზე შემოხვევით გამვლელმა მოქალაქეებმა და მეზობლებმა, რომლებმაც უმალ ტელეფონით აცნობეს ქალაქის სახანძრო ნაწილს.

მეხანძრეთა მოსვლამდე მეზობლებმა სცადეს ხანძრის ჩაქრობა, მაგრამ სახლის ქვედა სართულს ისე მაგრად ჰქონდა ცეცხლი მოდებული, რომ მათი ყოველი ცდა უშედეგო გამოდგა.

გამოძახებიდან ხუთი წუთი არც იყო გასული, რომ ქალაქის სახანძრო რაზმის ორი მანქანა მოვიდა. მალე მას „საქქალალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების სახანძრო ნაწილის ერთი მანქანაც მიეშველა.

მეხანძრეებმა თავიანთი საბრძოლო, ოპერატიული მოქმედებით ფიფიას სახლი დაწვას გადაარჩინეს, მაგრამ მარტო ფიფიას სახლი კი არა გვერდით მდებარე ორი სახლი გადაურჩა მოხალოდნელ ხანძარს.

რუსთაველის ქუჩის ამ უბნის მცხოვრებთა სახელით გვინდა მადლიერების გრძნობით მოგიხსენიოთ სახანძრო რაზმის ოპერატიული მორიგე რამაზ ჯღარკავა, დაცვის უფროსი ნოდარ მანია, მძღოლები შერაბ კვარაცხელია, ბერიკო კაკულია, მეელსმენე მაყვალა ჯაკულია, მეხანძრეები რევაზ კვარაცხელია, გოგი ქარჩავა, პაატა ქირია, ზურაბ ქარჩავა და სხვები, რომელთა საბრძოლო მოქმედებით სახლი განადგურებას გადაურჩა.

რუსთაველის ქუჩის მცხოვრებთა სახელით: ა. ხუციშვილი, გ. მაშია, ო. ჭურჭუმია, ა. ახალაია, ხ. კეზუა, თ. მაშია.

რედაქტორი

აკ. ჩანტურია.

მიმდინარეობს ხელმოწერა „ქართული ენციკლოპედიური ლიტერატურის" მრავალტომეულზე (რედაქტორი პროფესორი ლევან სანიკიძე, შემდგენელი პროფ. გურამ შარაძე), წინასწარ შესატანი თანხა—15 მანეთი (ბოლო ორი ტომის ფასი), ქვითრის ფასი —2 მანეთი. ხელმოწერა იწარმოებს მიმდინარე წლის 15 ივნისამდე.

*** ხელმომწერლებმა მიმართეთ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო განყოფილებას შემდეგი მისამართით: ოქტომბრის ქ. №31, მესამე სართული, ოთახი №14.**

მეუღლე მიშა ფიფია, შვილი ბატიკო გორდულავა, რძალი ზაირა ერემაძე, შვილიშვილები მედეა, მაია, პაატა, და ელბო, ძმა ნოდარი მესხია, დისშვილები: აროლნი, კუკური გულორდაველი, ძმის შვილები: ნინო, ნანა, ლადო, მულები ფუფა, ოლია, მაზლიშვილები: მერი, კოკა, ბოჩია, ლადო, ნუნუ, კლარა ფიფიები, რძლები: ლეილა ჩილაჩავა, ლუდა ფაცია, ვიოლა, ირინა, მზახლები: ოლგა, არველრდი ერემაძეები, დეიდაშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნელი (ეთერი) იონას ასულ ქანთარია-ფიფიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27 მაისს. დაკრძალვა 29 მაისს. გამოსვენება მესხიას ქ. 6.

დები: ოლია, ჟენია ბენდელიანები, დისშვილი თეთრიკო ხორავა, შვილიშვილები: მანანა ჭითანავა, იპოლიტე, როსტევანი თორიები იუწყებიან

ლუბა კოსტას ასულ ბენდელიანი - შენგელიას

გარდაცვალებას.

ძმისშვილები: გივი, ფაციკო, ია, ლიკა, ზურაბ ზაქარაიები, რძლები: თალიკო, ელენა, გალია, ინეზა. სიძეები: ნოე ფუტკარაძე, ვაჟა ჭეჟია, ჯემალი კვიკვინია ოჯახებით იუწყებიან

ფარნა ნაოს ძე ზაქარაიას

გარდაცვალებას.

შვილები: კლარა, ბაბუცა, გოგოლა, კაკალი, ზაირა, ცუცა, გურიელი, ტარიელი, რევაზი, ლევანური. რძლები: ლიდა, იზა, გულნაზი. გრეტა. ლიანა, მზია. სიძეები: ნოდარი ქირია, ავთო კვარაცხელია, გრამიკო ქობალია. ნოდარი, ჭურღულია, ძმისშვილები: გელოდი. გრავაშა. შაქრო. მირიანე, ლიანა. ჟულნარა. მზია. მედიკო ქარჩავები. დისშვილი ვალიკო ყალიჩავა, ცოლისდები: ვალიკო, ეენერა. ლენა კუკავები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ბაგრატ იოსების ძე ქარჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 29, 30 მაისს. დაკრძალვა 31 მაისს სოფ. ინგირში (ოირემე)

საქალაქო საბჭოს აღმასკომის აპარატის მუშაკები იუწყებიან

ლევან ლეოს ძე შონიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შამგონის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება

დავით პოლიკარპეს ძე ფარცვანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

დათო პოლიკარპეს ძე ფარცვანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები: გივი. ჰალიკო, ნაზო, დები: თინა, ძაბული. ძმა ალისტო ლატარია. რძლები: კლარა. ნათელა. ეთერი. ნანი. მალუზა. ნელი. შვილიშვილები: რევაზი. მიმი. მერაბი. ჯაბუული. ლორეტა ჯიქეები. კახა. ნინო ხორავები. ძმისშვილები: ნუგზარი. ტარიელი. მეგონა. მურთაზი. ბინიაზი. ლიანა ლატარიები. დისშვილები: ჯინჯიკო გუგუნჩი. ჯონი. ალდაშელი, მერი. ეზო ქვანიები. სიძეები გალოდია ქვანია, გილგენ ავალიშვილი. ბადრი სალია. მაზლიშვილები: ქოტე. ლუდუკა. თინა. ეუფა ჯიქეები ოჯახებით იუწყებიან

ოლგა ალექსანდრეს ასულ ლატარია-ჯიქიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27, 28 მაისს. დაკრძალვა 29 მაისს სოფ. კოლხიდაში.

დედა თამარა, მამა ავთო. დები მადონა. ნატო. ძმა ემზარი. ბებია მარგარიტა. დეიდა ნაზო, დეიდაშვილები: მალხაზი. მზია, ვალერი ბაძაღუები, რძლები: მედიკო. ნანი. სვეტა. სიძეები: ავთო. ჯენერი გოგიები. დისშვილები: თორნიკე. თენგიზი. თამუნა. მზისადარი. მთვარისა გოგიები. ძმისშვილები ზვიადი, რუსლანი მალანიები, ბიძა იბანი. მამიდები: ჯანო, თინათინი. ბიტოლა ნათელა, ბიძაშვილები: მზია. ჯონი. ნონა. ჯეირანი, ზალინა, გია კვიციანები ოჯახებით იუწყებიან

ფატიმა ავთოს ასულ კვიციანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26. 27 მაისს. დაკრძალვა 29 მაისს 5 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ტოლსტოის პირველი შესახვევი 15.

ქ. ზუგდიდის ა. წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის 1988 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ლევან ლეოს ძე შონიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: ვერა. ბუცა. ძაბია. ვალოდია. რძლები: ეთერი. როზა თამარი, შვილიშვილები: ვახტანგი. გალერი. შორენა შონიები. ლიანა ჭანტურია, შვილთაშვილები: ილია შონია. ვახტანგი. სალომე შეროზიები. დავითი. მონიკა ქარდავები. სიძეები ნოე ჭანტურია. ზვიადი შეროზია. ომარი ქარდავა იუწყებიან. რომ გარდაიცვალა

ფოტი სვიფოს ასული ფიფია-შონია.

პანაშვიდი 26. 27 მაისს. დაკრძალვა 29 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ბორჯომის პირველი შესახვევი 15.

დედა ნანი, მამა ბონდო, ბაბუები: ნოე შულაია, ედისონ ფაცია, ბებიები: ნათელა, ლეილა. მამიდები: მედიკო, მაყვალა. დეიდები ელისო, ნანა. ბიძეები: თემურ შულაია, ბექანა ფაცია, გიგლა გაფელია. რობერტ ღურწკაია, ვილგენ კაკაბაძე. ბიცოლები: ნონა სხირდია. მანანა გადელია, ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ირაკლი (რკა) ბონდოს ძე შულაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26 მაისს. დაკრძალვა 27 მაისს. გამოსვენება ზუგდიდი კაგარინის ქ. 61.

ქალაქ ზუგდიდის მეცამეტე საშუალო სკოლის 1987 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ფატიმა კვიციანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ნელიკო, მამა ირაკლი, მეუღლე თამაზი, შვილები ლელა, ეკა. ლევანი. დები ელისო. მზეგინარი. ძმები ვალერი. გია. ბადრი, მალხაზი. სიძეები მევლუდი. მანდარია, კახა ლაგვილავა, რძლები ია. ტანია, ალონა. ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან

სვეტა ირაკლის ასულ ჯანჯარია-ჭუბაბრავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 მაისს სოფელ ერგეტაში.

შვილები: გოგოლა, ციალა. დოდო. ეთერი. სიძეები: სევე გერგეღავა, გურამ ასანიძე. თამაზ ბულისკერიან, იგორ ვაგნინ, გურამ ჭითანავა, ჯამბულ აბლოთია. ჯემალ ავალიანი, ძმისშვილი ნელიკო ჩხაპელია, შვილიშვილები: ჯულიეტა კოკაია, ელენინ, გია. ბზია გერგეღავები, ზურაბი, ცოური პაჭკორიები, მაია, ზვიადი. დალი ასანიძეები, ნინო ფიფია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვარო (ხვიხვი) ჩხაპელია-წულაია.

პანაშვიდი 28. 29 მაისს. დაკრძალვა 30 მაისს. გამოსვენება 5 საათზე, ენგურჰესალდგომბინატი, ჯანაშიას ქ. 9. დაკრძალვა სოფ. შამგონაში.

მამა ომარი. დედა თალიკო. ბებია ლილი. და ნანა, ძმები: ბექარი, ლაშა გეთიები. სიძე მოგელი გეგეჭკორი, დისშვილები: ლელა. ბელა გეგეჭკორები, ბიძეები: ღუღუნი. ოთარი. მირიანე. ილიკო გეთიები. ბიძია იანური მესხია. მამიდები: ოლგა, ბუჭღუ, ფაჩუ, თალიკო. დეიდა თინიკო მესხია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

დემნა ომარის ძე გეთიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 მაისს. დაკრძალვა 29 მაისს სოფ. ჯიხაშკარში.

და შურა ქორთუშვილი, დისშვილები: დარეჯანი, მანანა, ოთარი, რძალი ემა, სიძეები: ტარიელ სვანაძე. გია მიქავა. შვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ტარასი კეღუცას ძე გელენავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მაისს 4 საათზე. გამოსვენება ქ. თბილისი, ვაშლიჯვარის პირველი დასახლება 13 (ა) კორპუსი, სართული 8.

ვაჭრობის სამმართველოს №1 უნივერმაღის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

ლევანი ლეოს ძე შონიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-31-80 პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-00

საქ. სსრ - სახკომის ზუგდიდისტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №2654